საქართველოს ჩემპიონატი აღმართის დაძლევაში - 2025 წელი (ჩემპიონატის რეგლამენტი)

დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ
2025 წელი

1. შესავალი
2. ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები და მიზნები
3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები
4. შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი
5. სარბოლო მონაკვეთი (ტრასები)
6. უსაფრთხოების ზომების დაცვა
7. ოფიციალური პირები
8. მოთხოვნები მონაწილეების, მრბოლელების და გუნდების მიმართ
9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები

10. შეჯიბრებების ჩატარების პირობები, კლასიფიკაცია, შედეგების განსაზღვრა
11. შეჯიბრების ჩატარების წესები
12. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამირება
13. დაჯილდოება
14. პროტესტი, აპელაცია
15. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია
16. ტერმინები და განმარტებები

1. შესავალი

1.1. ნამდვილი რეგლამენტი (შემდგომში სსსფ–ს რეგლამენტი) შედგენილია საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ და განსაზღვრავს 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატის ოფიციალური შეჯიბრებების ორგანიზებისა და წარმართვის წესებს აღმართის დაძლევაში;

1.2. ჩემპიონატის ორგანიზებისა და წარმართვის ნორმატიულ დოკუმენტაციად ითვლება:

- სსსფ–ს სპორტული კოდექსი და მისი დანართები;
- ჩემპიონატის წარმართვის საერთო დებულებები (სსსფ–ს საერთო დებულებები);
- აღმართის დაძლევის, ორგანიზებისა და ჩატარების წესები;
- სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილე ავტომობილების ტექნიკური მოთხოვნები და კლასიფიკაცია (ტექნიკური რეგლამენტი);
- მოქმედი რეგლამენტი (სსსფ–ს რეგლამენტი) და მისი დანართი;
- შეჯიბრების დებულება.
- FIA-ს დანართი J და FIA-ს სხვა რეგულაციები.

1.3. შეჯიბრებები აღმართის დაძლევაში, ტარდება სსსფ–ს აღმართის დაძლევის სახეობის კომისიის გადაწყვეტილებების და სსსფ-ს მიერ 2025 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმის თანახმად.

1.4. მოცემული სსსფ–ს რეგლამენტი, ძალაშია დამტკიცების მომენტიდან და ანაცვლებს ამ დრომდე მოქმედ ყველა რეგლამენტს.

2. ოფიციალური შეჯიბრებების ამოცანები და მიზნები

2.1. ოფიციალური შეჯიბრებები აღმართის დაძლევაში, ტარდება საუკეთესო სპორტსმენისა და საუკეთესო გუნდის გამოსავლენად, შემდგომში საქართველოს ნაკრებში მოქმედი სპორტსმენების გამოსავლენად და აღნიშნულის, ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეების ფორმირებისათვის, სპორტული და სარბოლო უნარების ასამაღლებლად, მაყურებელში საავტომობილო დისციპლინებისადა ტექნიკური სახეობების პოპულარიზაციის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ავტომობილის უსაფრთხოდ მართვის პროპაგანდისათვის.

3. შეჯიბრებების ჩატარების უფლებები

3.1. აღმართის დაძლევაში, 2025 წლის საქართველოს ჩემპიონატს ატარებს, **საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია** (სსსფ-GASF).

3.2. სსსფ–ს სტრუქტურაში აღმართის დაძლევაში შეჯიბრებების ჩატარებისას ორგანიზების პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ–ს არასატრეკო რბოლების სახეობათა კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ–ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.

3.3. სსსფ–ს სტრუქტურაში აღმართის დაძლევაში საქართველოს ჩემპიონატის შეჯიბრებების ტექნიკურ რეგულაციებზე პასუხისმგებლობა (კონტროლი) ეკისრება სსსფ–ს ტექნიკურ კომისიას, რომელიც მოქმედებს სსსფ–ს შესაბამისი რეგულაციების თანახმად, სერიის ორგანიზატორებთან (პრომოუტერებთან) და უშუალოდ ღონისძიებების ორგანიზატორებთან ერთად.

3.4. ერთიანი ტექნიკური მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, სპორტული ღონისძიებების კალენდრის შესათანხმებლად (სასწავლო–სავარჯიშო, სასწავლო–მეთოდური, ტექნიკური თუ გამაჯანსაღებელი შეკრებებისა და შეჯიბრებების), სსსფ–ს აღმართის დაძლევის სახეობის კომისია, სპორტსმენებისა და გუნდების სახელით, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა ჩათვლით ჯგუფებში, ასევე შეჯიბრების ჩატარების ორგანიზების საფინანსო–სამეურნეო საკითხების გადასაწყვეტად, სსსფ–ს უფლება აქვს დადოს ხელშეკრულება მესამე პირებთან, რომელთა უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ხელშეკრულებებით.

4. **შეჯიბრებების სტრუქტურა და კალენდარი**

4.1. შეჯიბრებაზე დაშვებული ავტომობილების კატეგორიები (ჯგუფები და კლასები):

კლასი	კუბატურა
კლასი A	**1900სმ³-ის ჩათვლით**
კლასი B	**1901სმ³-დან 3000სმ³-ის ჩათვლით**
აბსოლუტი	**3000სმ3-ზე მეტი კუბატურის ავტომობილები (ასევე კლასი A და B)**

შენიშვნა:
კლასში აბსოლუტი ასევე დაიშვება ღია თვლებით აღჭურვილი ავტომობილები სსსფ-ის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად.

4.2 სარბოლო ავტომობილის უსაფრთხოების ყველა კვანძი (სავარძლები, უსაფრთხოების ღვედები, უსაფრთხოების კარკასი და ა.შ.) უნდა იყოს მინიმუმ ყოფილი ჰომოლოგაციის მქონე და აკმაყოფილებდეს შეჯიბრების ტექნიკურ რეგლამენტს. უსაფრთხოების კარკასი კი უნდა შეესაბამებოდეს 2021 წლის FIA-ს დანართი J, პუნქტი 253.8–ის მინიმალურ მოთხოვნებს.

4.3. სარბოლო ავტომობილის წონა უნდა შეესაბამებოდეს სსსფ–ს ტექნიკური რეგლამენტის 4.1 პუნქტს.

4.4. მრბოლელს შეუძლია გააკეთოს განაცხადი იმ ჯგუფში, რომელის ტექნიკურ მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს მისი ავტომობილი, ან გააკეთოს განაცხადი უფრო მაღალ ჯგუფში და/ან კლასში:

- მაგ. თუ ავტომობილი ეკუთვნის A კლასს, მასზე მაღალ კლასად ითვლება კლასი B;

4.5. მრბოლელს უფლება აქვს განაცხადი გააკეთოს მხოლოდ ერთ კლასში.

4.6 ორგანიზატორს უფლება აქვს შეუცვალოს მრბოლელს გაცხადებული ჯგუფი და/ან კლასი, თუ მისი ავტომობილი არ შეესაბამება მას.

4.7. ორგანიზატორს უფლება აქვს ავტომობილის მომზადების მიხედვით, დამოუკიდებლად მიანიჭოს საასპარეზო ჯგუფი და/ან კლასი მრბოლელს, თუ მას განაცხადში არ აქვს მითითებული.

4.8.ორგანიზატორს უფლება აქვს შეუცვალოს საასპარეზო კლასი მრბოლელს შეჯიბრების მსვლელობისას და დასრულების შემდეგაც, თუ აღმოჩნდა, რომ ის არ იყო რეგისტრირებული მის შესაბამის კლასში;

4.9.იმ შემთხვევაში თუ, მრბოლელი ჩემპიონატის განმავლობაში გადაწყვეტს კლასის შეცვლას, ან ორგანიზატორის მოთხოვნით მოუწევს ჯგუფის და/ან კლასის შეცვლა, ქულების ათვლა დაიწყება ახალ ჯგუფში და/ან კლასში მიღწეული შედეგების მიხედვით, რომელთა შეჯამება მანამდე მოპოვებულ ქულებთან არ მოხდება.

4.10.მონაწილე ავტომობილები უნდა აკმაყოფილებდნენ სსსფ-ს მიერ გამოცემულ ყველა რეგულაციას და დადგენილებას;

4.11.შეჯიბრებები და კალენდარი

2025 წლის საქართველოს ჩემპიონატი აღმართის დაძლევაში შედგება 5 ეტაპისგან. სპორტული კალენდარი შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე https://www.gasf.co

4.12 .ოფიციალური რბოლები ტარდება შეჯიბრებების ბაზაზე, რომელიც ჩართულია სსსფ–ს სპორტული ღონისძიებათა ჩატარების კალენდარულ გეგმაში შესაბამისი სტატუსით. შეთანხმებული კალენდარი მიეწოდება სსსფ–ს, შეჯიბრების სერიის პრომოუტერის ან ორგანიზატორის მიერ. პრომოუტერის არყოფნის შემთხვევაში ორგანიზატორის მიერ, რომელიც პასუხისმგებელია სსსფ–ს წინაშე ღონისძიების ჩატარებაზე.

4.13.კალენდარში შეტანილი ცვლილებები ქვეყნდება-ფედერაციის ვებ გვერდზე www.gasf.co

5. სარბოლო მონაკვეთი(ტრასა)

5.1. შეჯიბრებების ჩატარების ტრასა უნდა ექვემდებარებოდეს სსსფ–ს მოთხოვნებს, რომელსაც ამტკიცებს ფედერაციის აღმართის დაძლევის სახეობის რბოლების კომისია.

5.2. შეჯიბრების მზადებისას სსსფ-ს აღმართის დაძლევის სახეობის რბოლების კომისიის მიერ ხდება რბოლის ტერიტორიის შესწავლა, უსაფრთხოების ნორმების შემუშავება, კავშირგაბმულობის კვანძების დამუშავება და ყოველივე ამაზე დაყრდნობით დგება ტრასის პასპორტი, რომელსაც ამტკიცებს სსსფ-ს აღმართის დაძლევის სახეობის რბოლების კომისია.

6. უსაფრთხოების ზომების დაცვა

6.1. შეჯიბრების დაწყების წინ, რბოლების ხელმძღვანელი უსაფრთხოების კომისართან ერთად ამოწმებს ტრასის მზადყოფნას და მის შესაბამისობას ტრასის პასპორტთან.

6.2. რბოლის დაწყებამდე უსაფრთხოების და ტრასის კომისარი ამზადებს სარბოლო მონაკვეთს (ტრასას) და რბოლის დასრულებამდე პასუხისმგებელი არიან რბოლის უსაფრთხოებაზე.

6.3. შეჯიბრების ჩატარების დროს უსაფრთხოების დაცვის შესახებ პასუხისმგებლობას იღებს შეჯიბრების ორგანიზატორი, შეჯიბრების ხელმძღვანელი და უსაფრთხოების კომისარი, რომლებიც ვალდებულნი არიან შეაჩერონ რბოლა, თუ არსებობს მაყურებლის, ოფიციალური პირების, მრბოლელებისა და მონაწილე პერსონალის მიმართ სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დაზიანების საფრთხე.

7. ოფიციალური პირები

7.1. ჩემპიონატის ეტაპებზე სსსფ–ს აღმართის დაძლევის სახეობის რბოლების კომისია ნიშნავს შემდეგ პასუხისმგებელ პირებს:

- შეჯიბრების მთავარ კომისარს – სპორტულ კომისარს სსსფ–ს უფლებებით;
- სსსფ–ს დამკვირვებელს.

7.2. ჩემპიონატის ეტაპებზე, სსსფ–ს აღმართის დაძლევის სახეობის რბოლების კომისიას ასევე შეუძლია დანიშნოს შემდეგი ოფიციალური პირები:

- შეჯიბრების მთავარი ტექნიკური კომისარი.
- შეჯიბრების უსაფრთხოების კომისარი.
- რბოლების ხელმძღვანელი;
- უსაფრთხოების ავტომობილის მძღოლი;
- ჩემპიონატის მდივანი;
- მთავარი ქრონომეტრაჟისტი.

7.3. მთავარი ტექნიკური კომისარი, რომელიც დანიშნულია სსსფ–ს მიერ, ხელმძღვანელობს ტექნიკური ინსპექციის მუშაობას, აკონტროლებს სერვის ზონის, საწვავ-გასამართი და დახურული პარკის ტექნიკურ მეთვალყურეებს.

8. მოთხოვნები მონაწილეების, მრბოლელების და გუნდების მიმართ

8.1. ოფიციალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან შემდეგი პირები: სსსფ–ს მიერ გაცემული ეროვნული GE D-R, GE C-R და საერთაშორისო ITD-R, IT C-R კატეგორიის ლიცენზიის მფლობელი მრბოლელები.

8.2. შეჯიბრებაში რაგისტრაციის გასავლელად, ყველა მრბოლელს უნდა გააჩნდეს მონაწილის (Competitor) ლიცენზია ან უნდა ჰყავდეს ამ ლიცენზიის მფლობელი პირი და უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:

- მრბოლელის ლიცენზიის ვადა აქტიური უნდა იყოს მთელი ჩემპიონატის განმავლობაში.
- მრბოლელმა უნდა წარმოადგინოს ავტომობილის ტექნიკური ან/და სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი, სსსფ–ს ტექნიკური რეგლამენტი რომლითაც მონაწილეობს რბოლაში, განაცხადი რბოლაში მონაწილეობაზე და მრბოლელის ლიცენზია.
- მრბოლელები დაიშვებიან მხოლოდ იმ ავტომობილებით, რომელიც რეგისტრირებულია და გააჩნია სახელმწიფო ნომერი ან რეგისტრირებულია საავტომობილო სპორტის ფედერაციაში

როგორც სპორტული ავტომობილი და გაჩნია ფედერაციის მიერ გაცემული შესაბამისი მოწმობა (სპორტული ავტომობილის ტექნიკური პასპორტი).

- ეს საბუთები გაცემული უნდა იყოს სსსფ-ს ან სსფ-ს (FIA) წევრი სხვა ქვეყნის ეროვნული სტატუსის მქონე ფედერაციის მიერ და ძალაში უნდა იყოს ჩემპიონატის გამართვის მთელი პერიოდის განმავლობაში.
- ჩემპიონატის თითოეულ ეტაპში მონაწილეობაზე განაცხადი ორგანიზატორს უნდა წარედგინოს სსსფ–ს მიერ დადგენილი ფორმით.
- განაცხადის წარუდგენლობის შემთხვევაში მრბოლელი შეჯიბრებაზე არ დაიშვება.
- მრბოლელების ეკიპირება უნდა შეესაბამებოდეს სსსფ–ს სპორტულ კოდექსს და ტექნიკური კომისიის განკარგულებებს. საკითხის თანხვედრის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ბოლო რედაქციით შექმნილ დოკუმენტს.

- სავალდებულოა კისრის დამცავი საშუალების (HANS) გამოყენება.
- მრბოლელის ეკიპირების რეკომენდაციები მოცემულია ჩემპიონატის ჩატარების ტექნიკურ მოთხოვნებში.

9. დაშვებული ავტომობილები და ტექნიკური მოთხოვნები

9.1. შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან ავტომობილები, რომლებიც შეესაბამებიან 2025 წელის ჩემპიონატის ტექნიკურ მოთხოვნებს და დამატებით მოთხოვნებს აღმართის დაძლევაში მონაწილეობის შესახებ (იხ. „აღმართის დაძლევაში საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატის ტექნიკური მოთხოვნები“).

9.2. შეჯიბრებაში მონაწილე ყველა ავტომობილს უნდა გააჩნდეს სსსფ–ს მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი.

9.3. ტექნიკური ინსპექცია წარმოებს „აღმართის დაძლევაში საქართველოს 2025 წლის ჩემპიონატის ტექნიკური მოთხოვნები“-ს მიხედვით.

9.4. თითოეულ კლასში წარმოდგენილი ავტომობილი უნდა აკმაყოფილებდეს როგორც ტექნიკურ, ასევე უსაფრთხოების ნორმებსა და მოთხოვნებს.

9.5. ნებისმიერი ავტომობილი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების ან ტექნიკურ მოთხოვნებს, არ დაიშვება შეჯიბრებაზე. ასევე არ დაიშვება ავტომობილი, რომლის კონსტრუქციასაც საფრთხის შემცველად ჩათვლიან ტექნიკური კომისრები.

9.6. ჩემპიონატის მსვლელობის დროს შეჯიბრების კომისრებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეამოწმონ ნებისმიერი მონაწილის ავტომობილი. შემოწმების დროს მრბოლელი ვალდებულია დაემორჩილოს შეჯიბრების კომისრების მოთხოვნას. ასეთი მოთხოვნის შემთხვევაში მრბოლელი ან/და მისი მონაწილე ვალდებული არიან საკუთარი ძალებით მოახდინონ კომისრების მიერ მოთხოვნილი დეტალების დემონტაჟი. ამ მოთხოვნაზე დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება წლის განმავლობაში მიღწეული შედეგი და ჩამოერთმევა მრბოლელის ლიცენზია (დისკვალიფიკაცია) ფედერაციის მიერ განსაზღვრული ვადით.

9.7. ავტომობილის საბურავების ნებისმიერი სახით გათბობა/გახურება აკრძალულია და აღნიშნული ქმედება დასჯილი იქნება სანქციებით, რომელიც მითითებული იქნება კონკრეტული რბოლის რეგლამენტში ან სანქციით, რომელსაც დაადგენს(ენ) შეჯიბრების კომისარი(ები).

9.8. ყველა ავტომობილზე უნდა გამოიყენებოდეს ის საბურავი, რომლებიც მოცემულია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩათვლითი ჯგუფების ტექნიკურ მოთხოვნებში.

9.9. კონკრეტული კლასისთვის შესაძლებელია იყოს დამატებითი რეგულაცია საბურავთან დაკავშირებით, რომელიც გამოიცემა უშუალოდ ორგანიზატორის მიერ.

10. ჩემპიონატის ჩატარების პირობები. კლასიფიკაცია. შედეგების განსაზღვრა

10.1. ჩემპიონატი არის ღია, რაც ნიშნავს იმას, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც ფლობენ საერთაშორისო მრბოლელის ლიცენზიას. ის შეიძლება გახდეს ეტაპის პრიზიორი, მაგრამ მას არ მიენიჭება ქულა საქართველოს ჩემპიონატის ჩათვლაში.

10.2. ოფიციალური შეჯიბრებები ტარდება პირად ჩათვლებში, მუხლი 4-ის შესაბამისად.

10.3. ჩემპიონატის ეტაპზე ნაჩვენები იდენტური დროის შემთხვევაში, მრბოლელების მიერ მოპოვებული ადგილების შესაბამისი ქულები იკრიბება, იყოფა შუაზე და ამ სახით ეწერება თითოეულ მათგანს.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ კლასი არ შედგა (არ შემდგარად ითვლება თუ ვერ სრულდება 11.18. პუნქტი) მრბოლელი ჩათვლას იღებს ჯგუფის აბსოლუტურ ჩათვლაში და აბსოლუტურ ჩათვლაში;

10.5. ოფიციალური ჩემპიონატი ჩაითვლება შემდგარად იმ შემთხვევაში, თუ ფაქტიურად შედგება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარული გეგმით გათვალისწინებული (კონკრეტულ სახეობაში და კლასში) შეჯიბრებების (ეტაპების) მინიმუმ 75%.

10.6. ჩემპიონატის წლიურ შედეგებში, კლასში ან ძრავის მოცულობის მიხედვით გამარჯვებული ვლინდება იმ შემთხვევაში, თუ ეს კლასი შემდგარად ჩაითვალა, ჩემპიონატში გათვალისწინებულ შეჯიბრებების 75%-ში.

10.7. ჩემპიონატში გამარჯვებული ვლინდება ჩემპიონატის ეტაპებზე დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით;

10.8. თუ ორ ან მეტ მრბოლელს, აღმართის დაძლევის საბოლოო ჩათვლაში, იდენტური ქულები დაურგოვდათ, ადგილები მათ შორის შემდეგნაირად გადანაწილდება:

a) ჯგუფურ კლასიფიკაციაში დაკავებული ადგილების ხარისხის მიხედვით:
   - მეტი პირველი ადგილი;
   - მეტი მეორე ადგილი;
   - მეტი მესამე ადგილი;

დაკავებული იმ ეტაპებზე, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო ჯამი შეადგინა;

b) ჯგუფურ კლასიფიკაციაში დამარცხებული მეტოქეების რაოდენობის მიხედვით, იმ ტურნირებში, რომლებში დაგროვებულმა შედეგებმაც ქულათა საბოლოო მარაგი შეადგინა.

c) თუ ამ საკითხების გათვალისწინების შემდეგაც ვერ დადგინდა საუკეთესოთა ვინაობა, სსსფ ერთპიროვნულად დაასახელებს მათ, იმ ნიუანსების გათვალისწინებით, რომლებსაც თავად ჩათვლის მისაღებად და გამოაქვეყნებს შედეგებთან ერთად.

10.9. ჩემპიონის გამოსავლენად, თითოეული ეტაპის გამარჯვებულს ჩათვლით ჯგუფში ერიცხებათ ქულები ოფიციალური შეჯიბრების შედეგების სასარგებლოდ, მათ მიერ რბოლის პროტოკოლით მოცემული დაკავებული ადგილების შესაბამისად:

დაკავებული ადგილი	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**6**	**7**	**8**	**9**	**10**
ჯამური ქულები	25	18	15	12	10	8	6	4	2	1

10.10. ჩემპიონატში და თითოეულ შეჯიბრებაში შედეგი ფიქსირდება:
- კლასებში
- აბსოლუტურ ჩათვლაში;

10.11. მიმდინარე მდგომარეობის და საბოლოო შედეგების დათვლის პროცესს აწარმოებს სსსფ და აქვეყნებს სსსფ–ს ვებ-გვერდზე www.gasf.co აღმართის დაძლევების ნაწილში.

11. შეჯიბრების ჩატარების წესები

11.1. ერთი სპორტული ავტომობილით მონაწილეობის უფლება აქვს 1 (ერთი) მრბოლელს;

11.2. დაუშვებელია რეგისტრირებული მრბოლელის შეცვლა სხვა პიროვნებით;

11.3. <u>შეჯიბრებაზე არ დაიშვება სარბოლო ავტომობილი, ტექნიკურ შემოწმების გარეშე!</u>

11.4. **სტარტი**: მრბოლელს სტარტის აღების უფლება აქვს მსაჯის მითითებით მხოლოდ შუქნიშნის მწვანე შუქის მოქმედების (მწვანე შუქის ანთებიდან 20 წამის განმავლობაში) პერიოდში, როდესაც

ავტომობილი უნდა დაიძრას და დატოვოს სასტარტო ზონა. სასტარტო ზონად ითვლება ტერიტორია სტარტის ხაზიდან, ნიშნამდე „ზონის დასასრული". სტარტის დრო ფიქსირდება ქრონომეტრაჟის სხივის კვეთით. ავტომობილი, რომელიც აიღებს სტარტს და დატოვებს სასტარტო ზონას, ითვლება სტარტ მიღებულ ავტომობილად. თუ ავტომობილი ვერ დაიძრა მწვანე შუქნიშნის მოქმედების პერიოდში, უნდა დატოვოს სტარტის ხაზი თავისი სვლით ან გარეშე პირთა დახმარებით. თუ ავტომობილი დაიძრა შუქნიშნის მწვანე შუქის ანთებამდე ან მისი ჩაქრობის შემდეგ, მისი დროის ანათვალი გაუქმდება;

11.5. ავტომობილები სტარტს იღებენ 1 (ერთი) წუთის ინტერვალით. აღნიშნული ინტერვალი შეიძლება შემცირდეს შეჯიბრების ხელმძღვანელის მიერ, შეჯიბრების კომისართან შეთანხმებით 30 (ოცდაათი) წამამდე ინტერვალით ან გაიზარდოს 2 (ორი) წუთამდე ან მეტი ინტერვალით, გარკვეული მიზეზების გათვალისწინებული, რაც უნდა იქნას ასახული ოქმის სახით;

11.6. ორგანიზატორსშეუძლია განსაზღვროს სასტარტო მიმდევრობა, მისი შეხედულებისამებრ (სერვის ზონის მდებარეობიდან გამომდინარე). სასტარტო თანმიმდევრობა (კლასების მიხედვით) განსაზღვრული უნდა იყოს შეჯიბრების დებულებაში.

11.7. წითელი ალამი: მარშალის მიერ ნაჩვენები წითელი ალამი, იძლევა სიგნალს, რომ მრბოლელმა უნდა შეწყვიტოს რბოლა, ვინაიდან წინ არის საფრთხე, რომელიც შეიძლება საშიში იყოს სიცოცხლისთვის. ავტომობილი, რომელიც მოხვდა წითელი ალმის მოქმედების ზონაში, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს რბოლა, იმოძრაოს მინიმალური უსაფრთხო სისწრაფით, გაჩერდეს პირველივე შემხვედრ მარშალთან და დაელოდოს მითითებას. მრბოლელი, რომელიც არ დაემორჩილება წითელი ალამს, დისკვალიფიცირებული იქნება ეტაპიდან. წითელი ალმის ზონაში მოხვედრილი ავტომობილები ბრუნდებიან შეჯიბრების სტარტის ადგილას, განთავსდებიან კოლონის ბოლოში იგივე თანმიმდევრობით, რომლითაც ჰქონდათ მიღებული სტარტი შეჩერებამდე და განმეორებით იღებენ სტარტს.

11.8. ყვითელი ალამი: მარშალის მიერ ნაჩვენები ყვითელი ალამი ნიშნავს, რომ წინ არის საფრთხე და მძღოლი უნდა იყოს მზად, საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ამ ალმის მოქმედების ზონაში მოხვედრილი ავტომობილები განმეორებით არ იღებენ სტარტს;

11.9. წითელ და ყვითელ ზოლიანი ალამი, რომელიც მარშალს უჭირავს გაჭიმულ მდგომარეობაში, ნიშნავს, რომ წინ მოცურება საშიში ზონაა. მრბოლელი ვალდებული გაითვალისწინოს და უზრუნველყოს უსაფრთხო მოძრაობა;

11.10. მწვანე ალამი: მარშლის მიერ ნაჩვენები მწვანე ალამი ნიშნავს, რომ დასრულდა საფრთხის შემცველი ზონა;

11.11. ცისფერი ალამი: მარშლის მიერ ნაჩვენები ცისფერი ალამი ნიშნავს, რომ მრბოლელმა უნდა გაატაროს უკან მდევარი სწრაფად მომავალი (რომელიც ეწევა) ავტომობილი;

11.12. თეთრი ალამი: მარშლის მიერ ნაჩვენები თეთრი ალამი ნიშნავს, რომ წინ დაბალი სისწრაფით მიმავალი ავტომობილია. მრბოლელი ვალდებული გაითვალისწინოს და უზრუნველყოს უსაფრთხო მოძრაობა;

11.13. რბოლის დისტანციაზე განლაგებული უნდა იქნას, ტრაექტორიის მაჩვენებელი დაფები. აღნიშნული დაფები უნდა შეიცავდნენ შემდეგ ინფორმაციას:

- ტრაექტორიის მიმართულებას ისრის სახით რომელიც თავის მხრივ რაც უფრო მახვილი მოსახვევია მით უფრო მახვილი უნდა იყოს;
- ციფრს (50, 100 და ა.შ.), რომელიც ნიშნავს დისტანციას მეტრებში, დაფიდან ტრაექტორიის დაწყებამდე;

11.14. ფინიშის ზოლამდე განლაგებულია ნიშანი, რომელიც ფინიშამდე 50-150 მეტრით ადრე აფრთხილებს მრბოლელს ფინიშთან მიახლოებაზე;

11.15. ფინიში: ზოლის გადაკვეთით, რომელზეც განლაგებულია ქრონომეტრაჟის სხივი და ფიქსირდება გადაკვეთის დრო. ფინიშის გადაკვეთის შემდეგ მრბოლელები მკვეთრად ამცირებენ სისწრაფეს და განლაგდებიან იმ ადგილას და იმ მიმდევრობით, რომელსაც მიუთითებენ ფინიშის მარშლები.

11.16. შეჯიბრება შედგება 2 (ორი) ვარჯიშისგან და მინიმუმ 2 (ორი) რბოლისგან. ორგანიზატორის

გადაწყვეტილებით შესაძლებელია რბოლის რაოდენობის შეცვლა, რომელიც მითითებული იქნება შეჯიბრების რეგლამენტში.

11.17. შეჯიბრებაში ჩათვლის მისაღებად მრბოლელმა უნდა შეასრულოს მინიმუმ 1 (ერთი) სავარჯიშო გარბენი და მინიმუმ 1 (ერთი) სრული სარბოლო გარბენი, სტარტით და ფინიშით. სავარჯიშო გარბენების არ შესრულების, ვერ დასრულების, ან გამოტოვების შემთხვევაში, შეჯიბრების გაგრძელების უფლებას, გადაწყვეტს რბოლის ხელმძღვანელი, შეჯიბრების კომისრების თანხმობით.

11.18. 3 (სამი) სარბოლო გარბენებისას მრბოლელმა ჩათვლის მისაღებად უნდა აიღოს სტარტების მინიმუმ 2/3 და ფინიშების მინიმუმ 1/3. ერთი გავლა უნდა იყოს სრული (სტარტით და ფინიშით).

11.19. კლასი შექმნილად და მოქმედად ითვლება თუ მასში რეგისტრირებულია, ტექნიკური კომისია გავლილი აქვს და რბოლის სტარტი აიღო მინიმუმ 3–მა (სამი) ავტომობილმა. (ვარჯიში არ ითვლება რბოლად).

11.20. იმ შემთხვევაში, თუ რბოლის სტარტი ვერ აიღო ავტომობილების 11.19 პუნქტში მითითებულმა მინიმალურმა რაოდენობამ (თუნდაც რეგისტრირებულია, ტექ-დათვალიერება და ვარჯიში გავლილი აქვს 11.19 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულ რაოდენობათა მინიმუმს), მონაწილეებს ეწერებათ დაკავებული პოზიციის შესაბამისი ქულების ნახევარი.

11.21. შეჯიბრების შედეგი განისაზღვრება სარბოლო გარბენებიდან საუკეთესო შედეგის მიხედვით.

11.22. ტექნიკური რეგულაციის დარღვევის შემთხვევაში მრბოლელს უუქმდება აღნიშნული შეჯიბრების შედეგი.

11.23. ტექნიკური რეგულაციის დარღვევის, რომელიც აღმოჩნდება დალუქული აგრეგატის შემოწმებისას, დალუქული აგრეგატიდან ლუქის თვითნებურად მოხსნის ან დაზიანებისშემთხვევაში, მრბოლელს უუქმდება წლის განმავლობაში დაგროვილი შედეგი.

11.24. იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო აწონვისას (შეჯიბრების დასრულებისას, სპეც მონაკვეთის დასრულებისას, შესვენების დროს და ა.შ.). მრბოლელს დაუფიქსირდა ავტომობილის წონის ნაკლებობა, იხსნება შეჯიბრიდან და უუქმდება აღნიშნული შეჯიბრის შედეგი.

11.25. იმ შემთხვევაში, თუ საწვავის საკონტროლო ანალიზის დროს (შეჯიბრების დასრულებისას, სპეც მონაკვეთის დასრულებისას, შესვენების დროს და ა.შ.). მრბოლელს დაუფიქსირდა ავტომობილის საწვავის რეგულაციის დარღვევა, იხსნება შეჯიბრებიდან და უუქმდება აღნიშნული შეჯიბრების შედეგი.

11.26. იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს ინციდენტის გამო აკლია რაიმე დეტალი, მომდევნო სპეც მონაკვეთის რბოლის სტარტამდე უნდა აღმოფხვრას დაზიანება. თუ ვერ აღადგენს ავტომობილის პირვანდელ სახეს (ავტომობილს არ უნდა აკლდეს ძარის გარე ნაწილები), მრბოლელის მიერ რბოლის გაგრძელების საკითხს გადაწყვეტს შეჯიბრების კომისარი. ამ შემთხვევაში შეჯიბრებიდან მოხსნილი მრბოლელი ინარჩუნებს შეჯიბრებიდან მოხსნამდე არსებულ შედეგს.

11.27. იმ შემთხვევაში, თუ რბოლის დროს დაფიქსირდა მრბოლელის მიერ ავტომობილის წონის შეგნებულად შემცირება, საკითხს განიხილავს სსსფ და შესაძლებელია სასჯელად, ჩემპიონატში, არსებული მომენტისთვის მიღწეული ყველა შედეგი და ქულები იქნას გაუქმებული.

11.28. ეტაპში მონაწილეობის მიმღებად ითვლება მრბოლელი, რომელმაც მიიღო რბოლის სტარტი.

12. სასტარტო ნომრები, სავალდებულო წარწერები, რეკლამირება

12.1. მრბოლელებისთვის სასტარტო ნომრების მინიჭება ხდება რეგლამენტის შესაბამისად. თუ არ არის სხვაგვარი შეთანხმება, ნომრები „1“, „2“ და „3“ შესაძლებელია მიენიჭოთ მხოლოდ გამარჯვებულებსა და პრიზიორებს აღმართის დაძლევაში, წინა სეზონის შესაბამისი აბსოლუტური ჩათვლის მიხედვით.

12.2. სარბოლო ავტომობილზე აუცილებელ წარწერებად გვევლინება შემდეგი:

- ემბლემები და წარწერები, რომლებიც დამაგრებული უნდა იქნენ ავტომობილზე რეგლამენტის შესაბამისად.
- სარბოლო ავტომობილზე მონაწილის სასტარტო (საბორტო) ნომერი, განთავსებული ჰორიზონტალურად, ორივე წინა კარების ზედა ნაწილში, შუშის ქვედა ნაწილიდან 7–10 სანტიმეტრის დაშორებით და უნდა იყოს შემდეგი ფორმისა და ზომის: სიგრძე – 67 სმ, სიგანე 17

სმ, 1 სმ–იანი თეთრი ზოლის ჩათვლით. მისი წინა ნაწილი – კვადრატის ფორმის, ზომით 15x15 სმ, რომელზეც დატანილი იქნება სასტარტო ნომერი. ციფრები – ნათელი ყვითელი ფერის, ციფრის სიმაღლე – 14 სმ, ციფრების ხაზის სიგანე – 2 სმ, ციფრები დატანილი უნდა იყოს შავ, არა ამრეკლ ფონზე. თუ სასტარტო ნომერი შედგება სამი ციფრისგან, მაშინ კვადრატის სიგანე შესაძლებელია შეიცვალოს. სანომრე პანელის ირგვლივ სივრცე 10 სანტიმეტრის დაშორებით, უნდა იყოს

თავისუფალი. უკანა საქარე მინაზე უნდა იყოს დატანილი იგივე ფერისა და ზომის ციფრები (სასტარტო ნომერი).

- სარბოლო ავტომობილის კაპოტზე, სასტარტო ნომერი დატანილი უნდა იქნას შემდეგნაირად: მართკუთხედი სიგრძით 43 სმ და სიმაღლით 21.5 სმ. ის უნდა შეიცავდეს მხოლოდ სასტარტო ნომერს.
- საბორტო ნომრები დატანილი უნდა იქნას ავტომობილის უკანა გვერდით საქარე მინებზე და უკანა საქარე მინაზე. ციფრის სიმაღლე - 25 სმ. ციფრის ფერი მკვეთრი „ელექტრიკი“ ყვითელი ან ფორთოხლის ფერის;
- ავტომობილის უკანა გვერდით მინებზე დატანილი უნდა იქნას აბრევიატურა, რომელიცაღნიშნავს კლასს, რომელშიც იღებს ჩათვლას მრბოლელი; -
- მრბოლელის (ან ეკიპაჟის) გვარი (ები) და სახელმწიფო დროშის გამოსახულება უნდა განთავსდნენ უკანა გვერდით შუშებზე (ორივე მხარეს). ასოების ზომებია, სიმაღლე – 60 მმ, ასოს ხაზის სიგანე 10 მმ. წარწერის შრიფტი – Helvetica.

12.3. სავალდებულო წარწერები ავტომობილზე უნდა იყოს განთავსებული ტექნიკურ შემოწმებამდე და შენარჩუნებულ შეჯიბრების დამთავრებამდე. სავალდებულო წარწერების შემოწმება შეიძლება ჩატარდეს, სტარტის წინა ზონაში. სავალდებულო წარწერების არ ქონის შემთხვევაში, ავტომობილი შეჯიბრებაზე არ დაიშვება. თუ შეჯიბრების განმავლობაში გაირკვა, რომ ავტომობილს აკლია თუნდაც ერთი სავალდებულო წარწერა, მრბოლელი შეიძლება დაჯარიმდეს რეგლამენტის შესაბამისად.

12.4. მონაწილეებს აქვთ უფლება განათავსონ თავიანთ სარბოლო ავტომობილებზე ნებისმიერი სახის რეკლამა, თუ ის:

- არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.
- არ ფარავს ხედს მძღოლის ადგილიდან.
- არ ეწინააღმდეგება მორალისა და ეთიკის ნორმებს.
- მისი შინაარსით არ არის პოლიტიკური ან რელიგიური.
- არ არის შეურაცხმყოფელი ხასიათის.
- არ იკავებს სავალდებულო წარწერებისა და სასტარტო ნომრის ადგილებს.
- არ ეწინააღმდეგება შეჯიბრების რეგლამენტს.

12.5. მონაწილის მიერ ნებისმიერი სარეკლამო კამპანია, სარეკლამო ვაჭრობის ან პრომო აქციის წარმოება სარბოლო მონაკვეთზე და პარკირების ზონებში, ხორციელდება შეჯიბრების ორგანიზატორის წერილობითი ნებართვის საფუძველზე.

12.6. სავალდებულო და არასავალდებულო რეკლამის განთავსების დამატებითი პირობები ცხადდება ორგანიზატორის მიერ ეტაპის რეგლამენტით.

13. დაჯილდოება

13.1. სეზონის ბოლო რბოლის შემდეგ, გამარჯვებულები ვლინდება 10.11 პუნქტის შესაბამის განაკვეთებში, 10.5 და 10.6 პუნქტების გათვალისწინებით.

13.2. მრბოლელები, რომლებმაც სეზონის ჩათვლაში დაიკავეს პირველი 3 (სამი) საპრიზო ადგილი დასახელებულ იქნებიან:

- 1 ადგილი - საქართველოს ჩემპიონი აღმართის დაძლევაში კონკრეტულ კლასში/ჩათვლაში;
- 2 ადგილი - საქართველოს ჩემპიონატის აღმართის დაძლევაში კონკრეტულ კლასში/ჩათვლაში მე-2 ადგილოსანი;
- 3 ადგილი - საქართველოს ჩემპიონატის აღმართის დაძლევაში კონკრეტულ კლასში/ჩათვლაში მე-

3 ადგილოსანი;

13.3. ორგანიზატორის მიერ დაწესებული პრიზი (მედალი, თასი, დიპლომი, ფულადი პრიზი, პრიზი და ა.შ.) გადაეცემა მხოლოდ პილოტს, ეკიპაჟის სხვა წევრის (შტურმანის, კო-პილოტის, ნავიგატორის და ა.შ.) არსებობის მიუხედავად.

13.4. პილოტის დამხმარე პირი (შტურმანი, კო-პილოტი, ნავიგატორი და ა.შ.) დაჯილდოებისას მოიხსენება, როგორც გამარჯვებული ეკიპაჟის წევრი.

14. პროტესტი, აპელაცია

14.1. ნებისმიერი პროტესტის განცხადება ექვემდებარება სსსფ–ს სპორტული კოდექსის მოთხოვნებს და თან ახლავს თანხობრივი შესატანი, რომლის ოდენობაც განისაზღვრება შეჯიბრების დებულებით.

14.2. თუ პროტესტი ითვალისწინებს მოცემულ შეჯიბრებაში მონაწილე რამდენიმე ავტომობილის ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისობის შემოწმებას, მაშინ პროტესტი უნდა გაცხადდეს თითოეული ავტომობილის საწინააღმდეგოდ ცალ–ცალკე ხოლო ფულადი შესატანის თანხა მრავლდება პროტესტის ქვეშ არსებული ავტომობილების რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც პროტესტის განხილვისათვის საჭიროა ავტომობილის ნაწილის დათვალიერება ან მისი დაშლა , პროტესტის შემომტანმა ტექნიკური გირაოს სახით უნდა შემოიტანოს თანხა, რომელიც პროტესტის განსახილველად შემოტანილი თანხის ტოლფასია. პროტესტი არ შეიძლება შეტანილი იქნას ავტომობილზე სრულად. უნდა იქნეს მითითებული ავტომობილის ცალკეული პარამეტრები, რომელთა შემოწმებაც განიხილება.

14.3. მრბოლელის ან მონაწილის მხრიდან არაკორექტული საქციელის შემთხვევაში მას დაეკისრება სასჯელი, თანახმად საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის კოდექსის თავი 11-სა.

14.4. იმ შემთხვევაში თუ პროტესტი შემოტანილ იქნება, რომელიმე მრბოლელის მხრიდან ტექნიკურ დარღვევასთან დაკავშირებით, პროცედურა წარიმართება საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის, სპორტული კოდექსის თავი 12-სა.

14.5. იმ შემთხვევაში, როდესაც გამპროტესტებელი პირი არ ეთანხმება სპორტული კომისარების კოლეგიის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, მას აქვს უფლება შეიტანოს აპელაცია სსსფ–ში. სსსფ–ში აპელაციის შეტანას განსაზღვრავს სსსფ–ს სპორტული კოდექსი.

15. მასობრივი საინფორმაციო საშუალებების აკრედიტაცია.

15.1. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისა და მათი წარმომადგენლების ყველა ოფიციალურ შეჯიბრებაზე აკრედიტირება ხორციელდება სსსფ–ს მიერ ან აღნიშნულს ავალებს ღონისძიების ორგანიზატორებს.

15.2. შეჯიბრებების ოფიციალური ინფორმაცია წარედგინება მხოლოდ აკრედიტებულ ჟურნალისტებს.

16. ტერმინები და განმარტებები.

16.1. შეჯიბრების ან ჩემპიონატის დებულება (რეგლამენტი) - ეს არის შეჯიბრების ორგანიზატორის მიერ გამოქვეყნებული, აუცილებელი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც აზუსტებს შეჯიბრების ჩატარების დეტალებს.

16.2. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაცია (სსსფ - GASF) - მმართველი ორგანო საავტომობილო სპორტში, აკრედიტებული „სპორტის შესახებ“ სახელმწიფო კანონის შესაბამისად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში, საქართველოს ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანოს მიერ და აღიარებულია საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (სსფ - FIA) მიერ.

16.3. სპორტსმენი (მრბოლელი) - შეჯიბრების დროს სატრანსპორტო საშუალების ხელმძღვანელი

(მმართველი), რომელსაც გააჩნია სსსფ-ს, სსფ, ან რომელიმე სხვა ესფ-ს მიერ გაცემული მრბოლელის ლიცენზია, ეროვნული ან საერთაშორისო შეჯიბრებებისთვის.

16.4. ორგანიზატორი - არის იურიდიული პირი, რომელსაც გააჩნია სსსფ-ს მიერ გაცემული შეჯიბრების (სერიის, ჩემპიონატის) ორგანიზატორის ნებართვა (ლიცენზია), 1 (ერთი) ან მეტი ღონისძიების ჩასატარებლად.

16.5. ტექნიკური რეგულაციები - წესების კრებული, შემუშავებული სსსფ-ს ტექნიკური კომისიისმიერ, საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

16.6. სარბოლო ავტომობილის ტექნიკური პასპორტი - სსსფ-ს ტექნიკური კომისიის მიერ, შემუშავებულ მოთხოვნათა შესაბამისობის დოკუმენტი.

16.7. ტექნიკური კომისია - სსსფ-ს სტრუქტურული ერთეული, რომელიც შეიმუშავებს, ადგენს და გამოსცემს ტექნიკურ სახელმძღვანელო დოკუმენტებს, დებულებების ან ბიულეტენების სახით.

16.8. პრომოუთერი - ფიზიკური პირი ან კომპანია, რომელიც ორგანიზატორთან ერთად აგვარებს, ღონისძიების ჩატარების ორგანიზების საკითხებს და ფინანსურ მხარეს.

16.9. სარბოლო მონაკვეთი (ტრასა) - მუდმივი ან დროებითი მარშრუტი, რომელიც გამოიყენება შეჯიბრების ჩატარებისთვის და დამტკიცებულია სსსფ-ს მიერ.

16.10. სარბოლო მონაკვეთის (ტრასის) პასპორტი - დოკუმენტი, რომელიც აღწერს სარბოლო მონაკვეთის ყველა მახასიათებელს.

16.11. აღმართის დაძლევა (შეჯიბრება) – შეჯიბრება, რომელშიც ყოველი ავტომობილი იღებს სტარტს ინდივიდუალურად, იმისთვის რომ დაფაროს ერთი და იგივე საგზაო მონაკვეთი, სადაც ფინიშის ხაზი მდებარეობს გეოგრაფიულად უფრო მაღლა ვიდრე სტარტის ხაზი.

16.12. ჩემპიონატი - არის შეჯიბრება, რომლის შედეგ(ებ)ის მიხედვით გამარჯვებულ სპორტსმენს ენიჭება ჩემპიონის წოდება. ჩემპიონატი შეძლება იყოს ერთ ან მრავალ ეტაპიანი.

16.13. დახურული პარკი - შეჯიბრების რეგლამენტით გათვალისწინებული ადგილი, სადაც მონაწილე ვალდებულია მიიყვანოს საკუთარი სპორტული ავტომობილი, რომლითაც მონაწილეობას იღებს კონკრეტულ რბოლაში, ამ რეგლამენტის თანახმად. დახურულ პარკში დაიშვებიან მხოლოდ შეჯიბრების ოფიციალური პირები, რომელთაც ევალებათ საკონტროლო მეთვალყურეობა ან პირები, რომელთაც გააჩნიათ სპეციალური ნებართვა.

16.14. ლიცენზია - სარეგისტრაციო მოწმობა, რომელიც გაიცემა იურიდიულ ან ფიზიკურ პირზე (მრბოლელზე, მონაწილეზე, მსაჯზე, მწარმოებელზე, გუნდზე, შეჯიბრების ოფიციალურ პირზე, ორგანიზატორზე, სარბოლო ტრასაზე და ა.შ.) და რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ან იღებს მონაწილეობას, რაიმე სტატუსით რეგლამენტირებულ შეჯიბრებაში.

16.15. მონაწილე (Competitor) - სსსფ-ს მიერ გაცემული „მონაწილის ლიცენზიის“ მფლობელი მრბოლელის ან გუნდის წარმომადგენელი, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფლობს ეროვნული ფედერაციის მიერ გაცემულ მონაწილის ლიცენზიას. ამ ლიცენზიის მფლობელი შეიძლება იყოს თვით მრბოლელიც. თუ მონაწილის ლიცენზია გაცემულია იურიდიულ პირზე, მონაწილის წარმომადგენელმა ადმინისტრაციულ შემოწმებაზე უნდა წარადგინოს მონაწილის წერილობითი მინდობილობა.